



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე-ოორტის მეთოდი

ვაშაკიძე-ოორტის მეთოდი, მეთოდი, რომლითაც ასტრონომიაში შესწავლიან ვარსკვლავთა სივრცულ განაწილებას ჩვენს გალაქტიკაში. მ. ვაშაკიძემ (1937) და ნიდერლანდელმა ასტრონომმა ი. ოორტმა (ჰოლანდია, 1938) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიყვანეს ფორმულა და შეიმუშავეს მეთოდი, რ-ითაც შესაძლებელია გალაქტიკის პოლუსის მიმართულებით დათვლილი ვარსკვლავების მეშვეობით, სინათლის შთანთქმის გავლენის მიუხედავად, გამოითვალოს ვარსკვლავთა სიმკვრივე ნებისმიერი სხვა მიმართულებით უფრო დაბალ განედებზე, სადაც სინათლის შთანთქმის გავლენა მნიშვნელოვანია. ამ მეთოდმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი გალაქტიკის აგებულების შესწავლაში, რაც იმ დროისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. ვ.-ო. მ-ს ფართოდ იყენებენ ვარსკვლავთა ასტრონომიაში, ცვალებად ვარსკვლავთა შემსწავლელ დარგებში და სხვ.

ლიტ.: კოლხიდაშვილი მ., ვარსკვლავთა ასტრონომიის კურსი, თბ., 1988; К у л и კ о в с к и й П. Г., Звездная астрономия, М., 1978.
